


572 /  
1973/2

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ԵՐԵՎԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ



1973 ՄԱՅՄԱՆԵՅՁՈՒ ՈՒՈ

ԲՈՒՅ



პოეტი საქართველოში ბე-  
ჭოი იყო ყოველ დროს,  
— მაგრამ პოეტიცაა და  
პოეტიც! — გალაკტიონის-  
თანა პოეტი ათასში ერ-  
თია! ჯერ შენ პატარა ხარ!  
გაიზრდები და — თვითონ  
ღარწმუნდები ამაში.

## ჰაბუკი გალაკტიონი



დღეები ბრუნავს ვით კამათელი  
და ევაფილების არის მრავლობა,  
ჩემთვის დღესავით არის ნათელი  
რას იტყვის ჩემსე შთამომავლობა.


წელიწადები წავლიან ძველნი,  
შეიცვლებიან ქარით სიონი,  
როგორც ერთია ქვეყანა მთელი,  
ისე ერთია გალაკტიონი.





ორ ზღვას შუა ძველისძველად  
 საომარი იყო ლელო—  
 ის გადარჩა და სახელად  
 ეწოდება საქართველო.  
 მშობლიური ჩემი მიწავ,  
 შენს საეუარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დაგიცავ შენს დიდებას,  
 წინაპართა ძეგლებს დაგიცავ!

გალაკტიონი



12/43

ეს სახლი დგას სოფელ ქვეფიში (ვანის რაიონი). ამ სახლში, 80 წლის წინათ, დაიბადა დიდი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე (გალაკტიონი გარდაიცვალა 1959 წელს).

კ. ნარკის ს. ს. სსრ  
 სახელმწიფო ბიბლიოთეკა  
 ბიბლიოთეკა



## კუკრუჭანები

ჩაპაზი ინანიშვილი

ნახატები ელზა რეზაქიძისა

პატარა რომ ვიყავი, სამი დიდი კაკალი გვედგა: ერთი—ეზოში, სახლის გვერდზე, მეორე—ეზოს ბოლოში, ფერდაში, და მესამე—სულ დაბლა, ჭალის ვენახში. ყველაზე დიდი ჭალის ვენახის კაკალი იყო. სხვა რომ არა ვთქვით რა, ჯერ მარტო ეს რაღა ღირს—კენწეროზე ყოველწლიურად ყვავების სამი თუ ოთხი ოჯახი იკეთებდა ბუდეს. დიდად სახელგანთქმული მბერტყავი უნდა ყოფილიყო, რომ იმაზე ასულიყო და დაებერტყავო. ერთხელ, გუმინდელდღესავით მახსოვს,

ხუთი გოდორი ბროლა კაკალი ჩამოვიდა ლენჯოიანი კიდეც ცალკე იდგა გორად. ჩემი სახლის სხვენში ფეხს ვერ ჩასდგამდი, სულ კაკალი იყო გაფენილი ოთხი თითის სისქედ. ამოდენა კაკალს მარტო ერთი ოჯახი ხომ ვერ მოიხმარებდა, ზოგს ნათესავ-მოკეთეებს ვთავაზობდით, ზოგს ვყიდვით კიდეც. მაგრამ, მე და ჩემი ბიძაშვილები, ათი-თორმეტი წლის ბიჭები, მაინც სხვისი კაკლების მოსამცვრევადაც დავდიოდით. რა არის ეს მომცვრევა? რა არის და—ხომ დაბერტყავენ კაკ-



ლებს; როგორც უნდა დაბერტყონ, ზედ თითო-ოროლა კაკალი მაინც დარჩება, თანაც სულ კენწეროვებში და გამონაპირებულ ტოტებში, სულ საღი და საუკეთესოები. მიღვებოდით ამ „საყვავედ“ დატოვებულებს მოკლე სასროლი ხელკეტებით, ზოგჯერ საგანგებოდ გამზადებული, თითისტარივით გათლილი და გაპრიალებული ხელკეტებით, ერთ კაკალს მთელი ნახევარი საათი ვეწვალებოდით და მაინც ჩამოვადვებდით. ამას ემატებოდა ნაწვიმარი და ნაქარალი. ახლა კი, ქალაქში მცხოვრები შეჭადარავებული კაცი, ბევრჯერ ვხედავ ხოლმე სიზმრად: შემოდგომა, მივიღივარ ნაწვიმარზე სარწყავი არხის პირ-პირ და ვხედავ, დიდგელა ბარტყებივით ერთმანეთს მიპკვირიან და ჩაყუყულან, ჩამალულან ბალახებში სველი ბროლა კაკლები; ვხედავ და იმ წამსვე ვგრძნობ, რომ სიცოცხლე მემატება, რაღაც გრილი, მჭრელოავი სიჯანსაღე შემოედინება ძარღვებში; თითქოს ეს-ესაა ახლა ჩამყაროს უბეჭეო ის სველ-სველი კაკლები და ცივად შემომფუთფუტებენ შიშველ სხეულზე.

ჩხაკუნით, სიამაყით ამოვიტანდით შინ და გავშლიდით ჩვენთვის, ცალკე. გული რომ რამეზე არ შეგვთანადრებოდა, ყოველ ახალ მოტანაზე მთლიანად გადავთვლიდით. ვთვლიდით წყვილ-წყვილად—ასს, ორასს, სამასს და ზოგჯერ ხუთასსაც კი.

მომცვრევაზე სიარულს დიდებიც არ გვიშლიდნენ. მარტო ამას გვეტყოდნენ, დაუკრფავს არათფერს შეაწოროთ ხელით, და, ჩვენც, გულზე ხელის დადებით ვამბობ ახლა, პირნათლად ვასრულებდით ამ პირობას.

თათარობის წინა დღებში ბებია გვეტყოდა:—აბა, მოიტანეთ თქვენ-თქვენი მონაგარი, კუკრუჭანებისთვის დავამტკრიოთო. ვადმოიღებდა თაროდან ფილს და ფილთაქვას, ჩაჯდებოდა იატაკზე ფეხმორთხმით, გადმოაბრუნებდა ფილს და იმის სწორ ძირზე ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ტეხავდა ყოველ კაკალს, რომ ლებნები მთელი დარჩენილიყო. ვეხმარებოდით ჩვენც, ბიჭები ვამტკრევდით, ვარჩევდით, მთელ-მთელ ლებნებს ცალკე ვაწყობდით. მერე, დარჩევასაც რომ მოვ-



ჩებოდით, გამოიტანდა ბებია ნემსსა და ძაფს, ძაფს მოკაუჭებულ თითზე გამოვლევდა, თუ ძალიან წმინდა იყო, ოთხკეცს დაგვაგარებინებდა, თუ ცოტა მომსხო—ორკეცს, მოგვატოლებდა იმ დაგრებილ ძაფს ყველას სათითაოდ და ჩვენ-ჩვენი მონაგარი ნიგვზიდან ჩვენს სიგრძე კუკრუჭანებს აგვისხამდა.

ეს კუკრუჭანები ჯერ ისე, ნიგვზად ხმებოდა მზეზე, მერე, თთარას რომ მოაღლულებდნენ, პირველ რიგში იმათ ამოგვივლევდნენ, მძიმე-მძიმედ, დიდის ამბით ამოჰქონდათ თათარის ქვაბიდან, ციმციმ მიჰქონდათ ბოძებზე დასმულ მსხვილ ლურსმნებთან და იქ სხვა ჩურჩხელებიდან გამოცალკეებულს ჰკიდებდნენ თითო-თითოს. ეკიდა იმ ბოძებზე ჩურჩხელებთან შედარებით დიდ ხანს, თითქმის მთელ თვეს. განმებოდა კარგად, როგორც იტყვიან—„ზომაზე“, ჩამოხსნიდნენ, გაახვევდნენ სუფთა პურის ტილოში და ჩააწყობდნენ კომოდის უჯრაში. ჩვენ, ბიჭებს, მშობლების ნებადართვებთან ხშირად წავგიცდებოდა ხოლმე ხელი ჩურჩხელებზე, კუკრუჭანებს კი ამისთანა რამეს ვერავინ შეგებავდა. ისინი თითქოს შელოცვილები თუ ტაბულადებულები<sup>1</sup> იყო. მათთვის ხელის ხლე-

ბა მარტო ბებიას შეეძლო, ისიც ბედნიერ დღეებში—ახალ წელს, ჩვენი დაბადების დღეს, ან პირველ მაისს. იმ დღეებში ყველანი ერთად ვიყავით—ოჯახის წევრებიც და ნათესავებიც. ვაშლილი იყო საბედნიერო სუფრა, პურობდნენ, სვამდნენ, მზიარულობდნენ. და აი, აქ, ყველაზე უფრო საზეიმო წუთებში, წამოდგებოდა ბებია, საღლაცრძედი კაბის ბოლოზე, დაკერებული ჯიბიდან ამოიღებდა ვასალებს, გაალებდა კომოდის უჯრას და ხელისგულებზე დასვენებულს მოგვართმევდა ჩვენს კუკრუჭანებს—ასე მთლად და ტკბილად დაესწარიო, შეიღებო, მრავლ ამ დღესო. ჩვენი კუკრუჭანები სულ თეთრად იყო დაშაქრული, თითის დაკარგვაც კი გვენანებდა, მაგრამ წესი ასეთი იყო, და ჩვენც—დავამტრევედით და ყველას ჩამოეუარიგებდით.

ყოველნაირი ჩურჩხელა გემრიელია ამ ქვეყანაზე, გამორჩევით—ნიგვზისა, მაგრამ კუკრუჭანებს—მთელლებნიან შენ სიგრძე ჩურჩხელებს მაინც ვერაფერი შეგდრება. ვერაფერი შეგდრება შენი ნაშრომის გემოს, რომელსაც ემატება ვიღაც უჩინარი წინაპრების ბებიებისა და დედების ლოცვის გემოც.

<sup>1</sup> ტაბუს დადება—მაიმეს აკრძალვა, რომლის დარღვევაც, ცრუმორწმუნეთა წარმოდგენით, იწვევს ზებუნებრივი ძალებისაგან მოკლენილ სასჯელს.





# პილისგულა

გიორგი ნაკათალი

მთელ წელს შინაგს საწინახელს,  
გაიღვიძებს მაშინ,  
ეურმინის კრეფას ბაბუა  
რომ დაიწვიებს ზვარძი.



# თათარა

მითა ხოლაშენი

ბებომ ტკბილი მოადულა,  
მოგვიმსზღა თათარა,  
— ცეცხლთან ნუ იტრიალებთო! —  
ღვდამ დაგვიტატანა.  
ჩურჩხელების ამოვლებას  
ველით დიდი, ზატარა,  
მავრამ ამ დროს, სწორედ ამ დროს,  
სად იყო და სად არა —  
— შეე, შეე, შეც მინდაო, —  
მორბის წვერებცანცარა.

ნახატები თამაზ ხაშიშვილი







ერთ სოფელში ერთი ბატარა ბიჭი ცხოვრობდა—გიგოს ეძახდნენ. ეს გიგო მოუსვენარი ბიჭი იყო, თავს აბეზრებდა მთელ სოფელს—ერთ-თავად შურდული ეჭირა ხელში და ჩიტებს დასდევდა. ესროდა ჩიტს შურდულს, აცდენდა და ხან მინებს ლეწავდა, ხან—კრამიტებს აუტეხდა ხოლმე მიჰმიყვალას.

ჯიბებზე ვინ რას ამბობს, უბეც შურდულის კენჭებით ჰქონდა გამოტენილი, ამიტომაც სულ ჩრხიალ-ჩრხიალით დადიოდა—კენჭები ეხლეპოდნენ ერთმანეთს და ისა ჩხრიალებდა. სხვის ბაღში რომ ვადაძეგრებოდა ხილის მოსაპარავად და ბატრონი მოატანდა, თვალიც რომ არ მოეკრა, მაინც იტყოდა, გიგო იყო—კენჭების ჩხრიალით ვარბოდა და იმის მეტი სხვა ვინ იქნებოდაო.

ვიდრე ბოლო კენჭსაც არ გაისროდა, ტყუილად ეძახდნენ.

ღედა:—ერთი უნდა გიყურო, როდემდე ივლი გარე-გარეო?

მამა:—ჯერ მოდი შინა, მე ვიცის და შენაო!

ბებია:—ჩიტებს მაინც აცალის ჭამა, მაგ სა-ნაციღემაო!

მაგრამ გიგო ყურსაც არ იბერტყავდა. აკი აღმახანაც ვითხარით—ვიდრე ბოლო კენჭსაც არ ესროდა ჩიტს, პირს არ იზამდა შინისაკენ.

ჩიტების მფარველმა ღმერთმა დიდხანს უთმინა, უთმინა, ბოლოს გაბრაზდა და თქვა:

— მაგას ისეთ ოინს ვუწამ, სიბერეშიც გაახსენდესო.

ერთ დღესაც იმ ჩიტების მფარველმა ღმერთმა თეთრ ღრუბელს უბრძანა, თეთრი კენჭების სეტყვა დაუშვი, ეშოებიცა და ორიობეებიც გადაათვრე, ვეზხოთ ერთი, ყველას როგორ გაისვრის ეს ჩვენი გიგოო.

მაგაზე ადვილი რაღაო. გაეღიმა თეთრ ღრუბელს, შავად მოიღუსა, ერთბაშად აგრუხუნდა და მაშინვე დაუშვა თეთრი კენჭების სეტყვა.

თეთრად მოდის სეტყვა, ყველა კენჭი ისეთი მრგვალია, რაც ამ ქვეყანაზე სხვია, სულ ნაბიჯ-ნაბიჯ რომ დაიარო, ისეთ საშურდულე ქვას ვერ იპოვი.

შურდულის მარჯვე მსროლელი ბიჭი უკეთესს ვერაფერს ინატრებს. მაგრამ აი, სეტყვა მტევანს ხედება და ერთიანად რევაგვს. მერე მსხალსაც ქევაგვს, ატამსაც, ვაშლსაც... ყველაფერს. კაკალი რომ კაკალია, არც იმას აყრის სიკეთეს.

საჩენში დგას გიგო, ყელზე ჩამოუკიდია შურდული და გაოცებული უყურებს თეთრ კენჭებს, ამდენს რა გაისვრისო. გიგოს დედ-მამაც უყურებს თეთრ კენჭებს, ბებიაც და თვალზე სიმწერის ცრემლი ადგებათ, რა ეშველება ჩვენს გიგოს, ამდენი კენჭის აკრეფას როგორ მოახერხებსო.

მთელი ეზო, ბაღა-ბაღი და ვენახი საეგვა თეთრი კენჭებით. კრამიტებზეც თეთრად ჩხრიალებს თეთრი კენჭები; დაეცემიან წითელ კრამიტს, თეთრად შეხტებიან და ზოგი თეთრად მიგორავს მწვანე ბაღაში, ზოგი—ჩამოცვენილ ფოთლებში, ზოგიც ყურძნის შეთვალულ მარცვლებშია არეული, ზოგი კიდევ ახლახან გაცოცხლებულ რუში მოადენს ხოლმე ტყაპანს.

გაოცებული უყურებს გიგო—აღარ იცის, რომელი ერთი კენჭი აიღოს. ისვრის, ისვრის და კენჭები არ თავდება.

— ეჰ, ამდენი კენჭის გასროლას როგორ შევძლებო,—თქვა გიგომ და შურდული გადაეცაო! ღრუბელმა ქარს უბრძანა, ახლა შენ იცო. ქარმა ერთი მხრიდან წამოუბერა თეთრ კენჭებს, სულ მარცვალ-მარცვალ წამოკრიფა და ისევ ღრუბელს დაუბრუნა.

მაგრამ მას შემდეგ ჩიტების მფარველი ღმერთი მაინც გაბრაზებულია, ხანდახან თეთრ, საშურდულე კენჭებით გაავსებს ხოლმე ეშოებს, ვენახებს, მინდვრებსა და ბაღა-ბაღებს... ელოდება, როდის წამოკრებს გიგო. გიგოს კი შურდული აღარა აქვს და არც საშურდულე კენჭებისაკენ გაურბის თვალი. ამიტომაც ის ჩიტების მფარველი ღმერთი, ისევ ქარს წამოიშველებს, იმ საშურდულე კენჭებს უჩუმრად წამოაკრეფინებს და ღრუბელს უბრუნებს ხოლმე.

სხვა ბატარა ბიჭებიც აღარ აკეთებენ შურდულეებს, ხილი უყვართ და ჩიტების მფარველი ღმერთის გაბრაზებასაც ერიდებიან. თუ გააბრაზებ, თეთრი კენჭების სეტყვას დაუშვებს—სულ მიწაზე დაავენს დამწიფებულ და დაუწიფებელ ხილს.

დიდ ქალაქებშიაც მოდის ხოლმე სეტყვა. მაგრამ იქ, იმ დიდ ქალაქებში ბატარა ბიჭების მშობლები ამის გამო არასოდეს სწუხან: მათი შვილები არასოდეს აკეთებენ შურდულეებს და, რა თქმა უნდა, არც საშურდულე კენჭები სჭირდებათ.

# ბორის ძნელაძის მემორიალი

გივი ძნელაძე

შენს მაღალ ძეგლს  
ნათელს აფრქვევს  
მოზეიმე მზე...  
შენი სიტყვა,  
შენი საქმე,  
ჩვენში ცოცხლობს დღეს.

ბედნიერი პატარები  
გახვევია გარს,  
მოწიწებით ასხენებენ  
შენს სახელს და გვარს!



წილს შესრულდა 50 წელი საქართველოში ლენინური კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებლის ბორის ძნელაძის გარდაცვალებიდან.

ბორის ძნელაძე ცნობილია, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისათვის

თავდადებული მებრძოლი.

მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართველი ახალგაზრდობის ლენინური სულისკვეთებით აღზრდისა და დარაზმების საქმეში.



# მზივარკა ციყვი

ნახატები თაგავ ხაშივილინა

ავთანდილ გარბანიძე

ციყვმა ჭამა ბევრი  
 კაკალი და თხილი.  
 აღრიალდა მეტე:  
 — ვაი, დედა, კბილი!  
 არ უცდია დიდხანს,  
 ექიმს მიაკითხა...  
 გაზის დანახვანე  
 ციყვი გასტა განხე;  
 აღრიალდა მწარედ,  
 დვარა ცრემლი ცხარე.  
 ექიმმა კი უთხრა:  
 — ფხუკიანი ნუ ხარ,  
 წრუწუნასაც ტკიოდა,  
 მანგრამ როდი კიოდა.  
 დროზე მოუარა  
 პაწაწინა კბილს,  
 ახლა აკნატუნებს  
 კაკალსა და თხილს.



## დათუნა

ამისთანა ამბავი  
 არც ერთ ტყეში არ თქმულა:  
 დათვის ბელი—დათუნა  
 წიგნის კითხვით ვართუღა.  
 — რა ენაზე კითხულობს?  
 — რა თქმა უნდა, დათვურად!



## ნაცარა

პაპი პარილაჟი

ნახატები სოფიო კინწარაშვილისა

პიესა ორ სურათად

**მოწაფილენი:** ნაცარა—დედა კურღლელო, ურცქვიტა, ცანცარა, ნაცარას ბაჭიები, თავვი, მელაკულა, ცაყვი, ბროლია.

სურათი პირველი

ნაცარას ბინა. ნაცარა იატაკს გვის და ბაჭიებს ესაუბრება.

**ნაცარა**—სუფთად უნდა ვიყოთ, შვილებო, იატაკი ყოველ დილით უნდა დავვალოთ.

**ცანცარა**—მე მუდამ ვგვი, მხოლოდ ცანცარა ანაგვიანებს.

**ურცქვიტა**—ხმა ჩაიკმინდე, ტყუილს რად ამბობ. (თათს თავში ჩაარტყამს).

**ცანცარა**—(ცანცარაც ჩაარტყამს) აი, ღარტყმა როგორი უნდა!

**ურცქვიტა**—ვამე, დედა! (დღესკენ იწეხს).

**ნაცარა**—რას სწადინხართ, შვილებო! (აშველებს. ურცქვიტას ურცხვში თათს ჩააწელებს და კუთხეში მიიყვანს).

**ურცქვიტა**—ჩემთან რა გინდა, დედა!

**ნაცარა**—მე ვიცი, რაც მინდა, კვიანად იყავი, თორემ...

**ურცქვიტა**—ყველაფერს მე მამბრალბენ. (გაბრაზებული კუთხეში შგროვილ კომპოსტოს ფოთლებს გაფანტავს)

**ნაცარა**—(გარედან ციყვის წრბინი მოისმის) ვამე, ნამდვილად ჩემს დობილ ციყვუნას, ქურდ-ბაცაცა თავგმა ბინა გაუქურდა. (შემოდის ციყვი, სახეში თათებს იცემს)





**ციყვი**—დავიღუბე, რა მეშველება! დავიღუბე, ღობილო, წუწკმა მელაკულამ ჩემი კბილბასრა მომტაცა.

**ნაცარა**—ვაი, შე უბედურო! შარშან მეც ხომ გამაუბედურა მაგ არდასაცალებელმა, ბაჭია მომტაცა. (ბაჭიებს) გარეთ ფეხი არ გაადგათ!

**ციყვი**—იმ ქურდბაცაცა თავუნას ბრალია ყველაფერი, იმან ასწავლა მელაკულას ჩემი ბინა.

**ნაცარა**—კი, მაგრამ, ხეზე როგორ ავიდა მელაკულა?

**ციყვი**—ხომ იცი მელას ხრიკები! თურმე დაბლა ჩამოიტყუა კბილბასრა, სტაცა პირი და გაიტაცა (ტირის) შვილო,

კბილბასრა! სანამ ცოცხალი ვარ, არ შევარჩენ იმ გაიძვერას ჩემს გამწარებას (წასვლას აპირებს)

**ნაცარა**—დაიცა, მეც გამოგყვები, მართო არ გაგიშვებ. (გადაინ. ბაჭიები კუთხეში აიტუხუბიან).

**ყურცქვიტა**—მომწყინდა, გარეთ უნდა გავიდე!

**ცანცარა**—ხომ გახსოვს, დედამ რა გვითხრა.

**ყურცქვიტა**—არა, უნდა წავიდე!

**ცანცარა**—(წინ გადაუღებია) არ გაგიშვებ.

**ყურცქვიტა**—შენი რა საქმეა? მე...

**ცანცარა**—არ გაგიშვებ!..

**ყურცქვიტა**—არ გამიშვებ? (თათში კბილებს ჩაივლებს)

**ცანცარა**—დელა!



ყურცქვიტა—ახლა ხომ გამიშვებ?! (ჯარბის)  
 ცანცარა—რა მაგრად მიკბინა! (ტირის) დედა  
 მაინც მოვიდოდეს მალე. (შემოდის  
 ბროლია)  
 ბროლია—რა გატირებს, ცანცარა? (თავზე თათს  
 ვაღაუფებს)  
 ცანცარა—ყურცქვიტა გარეთ არ გაუშვი,  
 დამკბინა და გაიქცა (ტირის)  
 ბროლია—რა თავხედი ყოფილა, ნეტავი სად  
 იქნება ახლა.  
 ცანცარა—(თათს ვაიშვებს) აი, იქით გაიქცა.  
 ბროლია—წავალ, მოვნახავ! (ჯახის)  
 ცანცარა—რა კეთილი ბროლიაა... (შემოდის ნა-  
 ცარა, თან კომპოსტის ფოთლებს შემოიტანს)  
 ნაცარა—აბა, შეიღებო, ჭამეთ... ყურცქვიტა  
 რა იქნა, შეილო...  
 ცანცარა—ყურცქვიტა, დედა... არ დამიჯერა  
 და ტყეში გაიქცა.  
 ნაცარა—ვაიმე, იქნებ არც კია ცოცხალი!  
 (შემოიბის ციყვი)  
 ციყვი—დობილო ნაცარა, როგორც ვატყობ,  
 ჩემსავით გაუბედურდები.  
 ნაცარა—რა ამბავია ჩემს თავს!  
 ციყვი—შენი ყურცქვიტა წვლან მელაკულას  
 ესაუბრებოდა.  
 ნაცარა—რას ამბობ!  
 ციყვი—მელაკულა ეუბნებოდა: მე ნაცარას  
 დობილი ციყვი ვარ, წადი, დედა-  
 შენს დაუძახეო.  
 ნაცარა—ვაიმე, დობილო, მიშველე რამე, იქ-  
 ნება ბროლია ენახოთ სადმე!  
 ციყვი—ბროლია აქ იყო წვლან.  
 ნაცარა—აბა, წავიდეთ, ბროლია თუ ვიპოვეთ,  
 მეტი რა გვინდა!  
 ციყვი—(ცანცარას) აბა, წავიდეთ.  
 ნაცარა—შეილო, ყურცქვიტავ! (ჯახიანი)

**ფ ა რ დ ა**

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

ტყის პირი. შემოდის ნაცარა და ციყვი  
 ნაცარა—(ტირის) ჩემო ყურცქვიტავ... ვინ იცის,  
 იქნებ!  
 ციყვი—აი, სწორედ ამ ადგილას ენახე ყურ-  
 ცქვიტა და მელაკულა. (თათს იშვებს)  
 სწორედ აი, ამ ხესთან იდგნენ. შეიძ-  
 ლება ბროლიაც აქ იყოს სადმე.  
 (შემოდის თავგი, თხილს აქანტუნებს) ახლა  
 სადღა წახვად! (მისკენ გაეჭინება, მაგ-  
 რამ თავგი მიიმალება)

ნაცარა—სოროში შეძერა.  
 ციყვი—ეპ, ერთი მომესწრო. (შემოდის მელაკულა  
 და ციყვი და ნაცარა დამალვას აპირებენ)  
 ნაცარა—ეშმაკო მელაკულა...  
 ციყვი—განუშდი, არ გაიგონოს.  
 მელაკულა—(ყურცქვიტას) სად არის ამდენხანს,  
 ნამდვილად მომატყუა, ნეტავი არ  
 გამეშვა. კარგა მოზრდილი ზაჰია  
 იყო. (შემოდის ყურცქვიტა) სად იყავი  
 ამდენხანს? დედაშენი სად არის?  
 ყურცქვიტა—შინ არ დამიხვდა.  
 მელაკულა—ტყუი... მე მელაკულა ვარ და რა-  
 ხი ნაცარას კბილი ვერ გავკარი,  
 ახლა შენ უნდა შეგვკამო.  
 ყურცქვიტა—უნდა შემკამო?  
 მელაკულა—არა, უნდა მოგვეფრო!.. ახლა მე  
 ისე მშია, რომ...  
 ყურცქვიტა—გეხვეწები ძია, ნუ შემკამ.  
 მელაკულა—რა ბრიყვი ხარ... (გამოცოცდება თავ-  
 ვი) შენ, ეცი, აბა, ერთი აქ მოდი! ამ  
 ბრიყვ ყურცქვიტას შეგვკამ, მაგრამ  
 მარტო ეგ რას მიშველის, შენც უნ-  
 და მიგაყოლო.  
 თავგი—ნაცარას ბინას მიგასწავლი, ოღონდ  
 არ შემკამო.  
 მელაკულა—არა, გინდა ხელიდან დამიძვრე?  
 (ამ დროს შემოიბის ბროლია, მელაკულას  
 თავზე დაახტება და კბილებს ჩაავლებს,  
 თავს გაქცევა უნდა, დანუშლია, ვერ ახერ-  
 ხებს, შეშინებული ყურცქვიტა განზე დად-  
 გება და ყურებს აცანცარებს).  
 მელაკულა—მიშველეთ!  
 ბროლია—ეგრე მოგიხდება! (ამდროს ციყვი დროს  
 იხელთებს, შემოგარდება და თავეს კისერში  
 კბილებს ჩაავლებს. ნაცარა აქეთ-იქით დარ-  
 ბის და სიხარულისაგან არ იცის რა გააკე-  
 თოს).  
 თავგი—მიშველეთ! (წრიანებს)  
 ბროლია—(მელას კბილებს შეუშვებს და თათებს ჩას-  
 ქილებს) ნაცარა, აბა, აქ მოდი.  
 ნაცარა—ახლავე.  
 ბროლია—აი, ახლა ამ გაიძვერას სცემე რამ-  
 დენიც გინდა.  
 ნაცარა—უპ, შენ გაიხარე, ბროლია.  
 ყურცქვიტა—მეც მინდა ერთი რივიანად გა-  
 უსწორდე! (მელასკენ მიიწეის) მინდა  
 ყურზე ვუკბინო!  
 მელაკულა—გამიშვით, გამიშვით!..  
 ნაცარა—ხედავ, შებრალებას თხოულობს. აბა,  
 დაცხობთ, მომეშველეთ (სცემენ).



# კუკულის კუკული

ნოლა ლუბაძე

ხათუნამ გულის კანკალით  
 ბებოს მოპარა კაკალი.  
 და როცა კაკალს პარავდა,  
 როცა ზურავდა კარადას,  
 ქილა გაუტყდა მურაბის.  
 და სწორედ ამ დროს ხათუნას  
 თაბზე წაადგა მურაბი.  
 ხათუნამ უთხრა:—ძამიკო,  
 მოდი, კაკალი გავიყუთ,  
 ზურიკომ უთხრა:—დაიკო,  
 ეს რომ ბებოამ გაიგოს,  
 ეს რომ დედიკომ გაიგოს,  
 ეს რომ მამიკომ გაიგოს?..  
 ამიტომ მთელი კაკალი  
 მე უნდა მომცე, დაიკო!—  
 ხათუნამ ხედის კანკალით  
 სულ ჩაუთვავდა კაკალი.  
 მერე, არ იცით, რა იყო?  
 ბებოამ მაინც გაიგო.  
 როცა ბებოამ გაიგო,  
 მერე მამამაც გაიგო,  
 მერე დედამაც გაიგო.  
 კორმა იარა, იარა,  
 სოფელი შემოიარა,  
 მაგრამ ხათუნა კი არა,—  
 ქურდი კაკლის და მურაბის  
 მაგრად მიტყიბეს ზურაბი.

ნახატები ბენიამინ ხილაშვილისა





## საიღუმლო

ღაგრამ ნში ჟიჟინამ ნახტები თაჟურ ჩირინაჟილისა

ერთ ოჯახში დედას, მამას, ბებიასა და ბაბუას ერთი დიდი საიდუმლო ჰქონდათ. რა საიდუმლო იყო ასეთი, ვის უმალავდნენ?

ვისა და პატარა გოგობს.

ეს გოგია ისეთი ბიჭი იყო, სადაც კი რამეს შეინახავდი, სულ იცოდა. თუ რამეს ვერ მიავნებდნენ, გოგიას აბრალებდნენ: ის აიღებდაო, ის დაკარგავდაო. სწორედ ამიტომ მოილაპარაკეს: სადაც რამეს შევიინახავთ, გოგიას ნუ გავაგებინებთო.

ეს იყო და ეს მათი საიდუმლო.

ჰოდა, ერთხელ ველარ იპოვეს სარდაფის გასაღები. ეძებეს და ეძებეს, სად აღარ მოძებნეს, შინ ერთი კუნჭულიც აღარ დატოვეს თვალმოუკრავი და ხელშეუვლები, მაინც ვერ იპოვეს.

სარდაფში რა არ ჰქონდათ შენახული.

იმ დღეს კი სიმინდის ფქვილი უნდა ამოვტანათ, — ბებიასა და ბაბუას ღომი უყვარდა. პირის გემო არც სხვებს ჰქონდათ დაკარგული, მაგრამ გასაღები?

გოგიას მამამ თქვა:

— გავტყავ კარს და ამოვიტან ფქვილს!

ეს ბაბუას არ მოეწონა:

— ახე რომ ვამტვრიოთ კარი, სად წავა!..

— ჩემი გაკეთებულია და ისევ მე გავაკე თებ, — თქვა მამამ.

ნაჯახი აიღო და წავიდა.

კიბეზე მამას გოგია შემოსვდა, ხელში რომ ნაჯახი დაუნახა, ჰკითხა:

— მამა, რა უნდა გააკეთო? — ეტყობოდა თვითონაც უნდოდა გაეყოლა და მიხმარება.

— სარდაფის კარი უნდა გავტყვო!

— რატომ? — გაუკვირდა გოგიას.

— გასაღები ველარ ვნახეთ.

— არ გატყვო, მამა, მე ვიცი, სადაც არის სარდაფის გასაღები.

— ბიჭო, შენ რა იცი, მთელი სახლი გადავატრიალეთ და ვერ მივაგვენით!

გოგია გაიქცა და გასაღები მოურბენინა.

— აი, გასაღები!

— სად იყო? — გაკვირვებით შეეკითხა მამა.

— შენი პალატოს ჯიბეში.

— ჰოო, იმ დღეს პალატო შეცვა. ახლა ვამახსენდა, შენც ჩემთან იყავი.

დედა, ბებია, ბაბუა, ყველა იქ მოგროვდა. გაუხარდათ, კარი რომ გადარჩა გატყვას.

— კიდევ იტყვი: გოგიამ არ გაიგოს, სად რას შევიინახავთო? — ოჯახის საიდუმლო გაამხილა ბაბუამ.





## მეხსნი ძმა

იტალიური ზღაპარი

ნახატები გიორგი როინიშვილისა

ექვსი გაგიშვილი დაზარდა მამამ. ხუთი სულელი, ერთიც მთლად რეგენი. ხარობდა შვილებში, თვალს ვერ აცილებდა. ერთხელაც თავი დაუყარა სუყველას.

— წადით ქალაქში, მიიარ-მოიარეთ, და თურამ თქვენი მოსაწონი ნახოთ, თან წამოიხმდვარეთო, — გაუთითა ხელი.

გაუყვინენ ძმები ქალაქისაკენ. დუქანში შეიარეს. ხუთმა ძმამ ლულეზღამძვრალი თოფი იყიდა; მეექვსემ ცარიელი კონდახი დაიხელთა. გაიღეს მხარზე და შინისაკენ იბრუნეს პირი.

სად იყო სად არა, ექვსი კურდღელი გამოიწკაბა გზის პირას. ხუთს ყურები აეცქვიტა, მეექვსეს აეწვართა.

ძმებმა აღარ დაახანეს. გადმოიღეს თოფები და ამოიღეს მიზანში. ხუთმა ძმამ თვალები დახუჭა, მეექვსემ — მოწყურა. დააქუხეს თოფები. ხუთმა ვერ მოარტყა, მეექვსემ დააცივინა.

მაშინ გაეკიდნენ ძმები კურდღლებს, — ხუთი დაიჭირეს, მეექვსე გასკვანჩეს. ბედი გეკონიაო, ამათ უნდა ეთქვათ სწორედ. მოვიდნენ შინ. ითათბირეს და გადასწყვიტეს, სათითურში მოეხარშათ კურდღლები. ვერ მოთავსდა ხუთი კურდღელი ერთ სათითურში, მეექვსე ვერ ჩაეტიდა.

გადაღით მეზობლებთან, ქვაბები ითხოვეთო, — მიასწავლა მამამ. მიადგნენ მეზობლებს ძმები. ექვსი ქვაბი ითხოვეს. ძუნწი იყო ხუთი მეზობელი, ერთიც კრიყანგი. არ დაზარდნენ და ექვსი

ქვაბი გამოუტანეს: ხუთი ძირგახვერტილი, ერთიც—ფსკერგავარდნილი. წამოიღეს და შემოდგეს კერიაზე. ხუთი ქვაბის ქვეშ დაავიწყდათ ცეცხლის გაჩაღება, მიექვსესთვის სულ არ შეუნთიათ.

იხარშა და იხარშა ნანადირევი. ხუთი არ მოიხარშა, ერთიც სულ უმად დარჩა. დასხდნენ სადილად. ხუთმა ძმამ ვერ გალეკა ხორცი, ერთმა ვერც მოკბილა. მამას შეებატიყნენ. მოუღზინა ხუთ კურდღელს მამამ. მიექვსე ყელზე დაადგა და დაიხრჩო.

თავში ხელი იცეს ძმებმა, ქვა განეთქეს და ექვსი ექიმი მოიძიეს. ხუთი უმეცარი იყო, ერთიც მთლად შტერი.

ბევრი სინჯეს, აქეთ-იქით აბრუნეს ოჯახის ბურჯი ექიმებმა. მერე უშუბლზე შემოიწყვეს ხელეზი და შეკამათდნენ.

ერთმა თქვა: შეუძლოდაა, მიექვსემ დაასკვნა—ნამდვილად ავად არისო. ახლაც ჯახნრობენ, ვერაფერი გადაუწყვეტიათ.

რა საშველი დაადგებათ და როდის, კაცმა არ იცის.

ან ასე იზამენ, ან—ისე.

აი, თუკი მორიგდნენ, ისევ წაეწყობა ერთმანეთს ამბები.

არც ღებენ დაგტოვებთ უამბოდ. ყოველივეს მოგითხრობთ.

გაღმთაქართულა პლიზარ გიორგაძე



# ბუნალი კაბა

ამბროსი ლონხაძე

შწია ვეკლას გუბნება:  
— ჩემი კაბა ახალია,  
დღეს დედივამ შემეკურა,  
ძინრდებოდა წახანისა!..

# ჩემი სიფელი

მთაბრისა ყოიძა

მინდორზე ვვაკილები,  
ტყეში—ეკაღბარდები,  
ხის ტატებზე ჩიტუნები,  
ბუდეებში ბარტყები!

ნახატები ვაჟა ლათაბაშვილისა







# ბრიფინგი

## შპს შპალაძე


ქარი არწივს ლაღის ციხეს,  
თითქოს ზეცის აკვანია.  
შია ათასი ტუსალი ზის,  
შიგ ათასი სკანია.

და თუ ვინმე თავს დაესხა,  
რომ აქციოს იავანად,  
მაშინ სისხლი უძანკოთა  
ღაღღურება იანვანად.

## კვბლი

— ლოკოინზე,  
გზა სავალი  
რაგინდ გეონდეს გრძელი,  
რისთვის გრჩება თეთრი კვბლი,  
კვბლი წაუშლებელი?

— როცა უკან გამოვიფლი,  
დამავეიროდი მაშინ,  
კვბლი იგი შეუცდამლად  
დამაბრუნებს სხსლიძი.



შთავი: რედქტორი შიხტან მანაშაძე 050

სარედაქციო კოლეჯი: აშაშვი გიორგიშვილი, ლევილა მირამ, ფეხალ ლოლუა, ზურაბ ლომიძე, მანუალა შანშელაშვილი, მირაზ მუხრანბერიძე (ა/შ გელაძე), შალვა მხამანაძე (სამ. რედქტორი), შიშო ქაქუაძე  
საქ. ალმა ცაიშ და ვ. ი. ლენინის სახელობის მიწათმოქმედის ორგანიზაციის რესპუბლიკური სამსახურების დეპარტამენტი  
ალაღ ნახატი მანაშაძე სახელოსნოში.

ტერმინალური პ. რედაქტორი

შესაბრთო: რედქტორი, გამომცემლობა, სტამბო—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: ში რედქტორის—93-41-30, 93-98-15, პ/შ მდინის — 93-10-32, 93-98-17; სამ. რედქტორის—63-98-18; განვლ. — 93-98-19; სამკვნილი — 93-98-16.

გაღვიც მსახურება 22/VI-73 წ. ხელმოწერა დასაბუღად 15/VI-73 წ. კალოლის ზონა 60×90 სმ  
გ.ზ. ნაწ. ფურტ 25, ტროიკი 159.700 შ.მ. № 218. „ღილა“ № 10. ია გრაიკონიკო აკაკი, უჯრა 20 კაბ.

ბ 26/180

ეროვნული  
მუზეუმი



ბე — ნახ. ეკა მშენებრძისა, თბილისი.



76055

„სოფელი“ — ნახ. ია ცქვიტაძისა, 5 წ. თბილისი  
„საბუცხი“ — ნახ. დალი ჯანგრაფილისა, 7 წ.



„ღობრივობის მანქანა“ — ნახ. ირაკლი ვარ-  
თაგაძისა, სოფ. ბუნიევი.

„მზიანი დღე“ — ნახ. ნანა გიორგობიანი, თბი-  
ლისი.

„უკავილები“ — ნახ. ნანა მელქაძისა, ქ. ზუგდიდი.

„მეტეზარე“ — ნახ. გიორგი აბულაძისა, 5 წ.